საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-69. 6924337001**
თარიღი:**02/12/2024**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე ელექტრო საყრდენებზე (ბოძებზე) ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლად ელექტრო საყრდენის (ბოძის) იმ ნაწილის, რაც კაბელის დასამაგრებლადაა საჭირო პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“- სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, სააქციო საზოგადოება „სილქნეტს“ (ს/კ 20456978), ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე 9 აპრილის ქუჩა N6-ის მიმდებარედ 2 (ორი) ცალი გარე განათების ელექტრო საყრდენის და დაბა ხარაგაულში კიკნაძის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 36.00.158) 1 (ერთი) ცალი გარე განათების ელექტრო საყრდენის ის ნაწილი, რაც ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელის განსათავსებლადაა საჭირო გადაცეს 5 (ხუთი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სარგებლობის უფლებით, სასყიდლით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი